# eSchool

## 2011-2014 წლებში სქემაში ჩართულ მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), სკოლის პერსონალის ბარათს დაემატა ჩანართი ,,**ძველი სქემა**“, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალებას აძლევს სისტემაში განათავსოს/ატვირთოს 2011-2014 წლებში სქემაში ჩართული მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სისტემაში მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის განთავსების მიზნით შეასრულეთ მოქმედებები შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) ,,**პირების მენეჯერიდან**“ განახორციელეთ სკოლის პერსონალის ძებნა;




2. მაუსის დაწკაპუნებით გახსენით 2011-2014 წლებში სქემაში ჩართული კონკრეტული მასწავლებლის პირადი ბარათი, რომლის შემთხვევაშიც გსურთ განხორციელებული აქტივობის/აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცის სისტემაში განთავსება;

   *სკოლის პერსონალის ბარათში მოცემული ეტაპისათვის გათვალისწინებულია პირადი, საცხოვრებელი და საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია საკლასო ჯგუფების, სამუშაო გამოცდილების, განათლების, პროფესიული განვითარებისა და სერტიფიკატების შესახებ.*




3. გაააქტიურეთ ჩანართი სახელწოდებით „**ძველი სქემა (2011-2014)**“ და კონკრეტული მასწავლებლის შემთხვევაში, განხორციელებული აქტივობის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მიზნით ისარგებლეთ ღილაკით „**დამატება**“;




4. გამოსულ ფორმაში, შესაბამის ველში მიუთითეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობის დასახელება, ხოლო დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვის მიზნით დააჭირეთ ღილაკს „**ფაილის არჩევა**“;




## შენიშვნა:

- სისტემაში ასატვირთი ფაილების რაოდენობა შეზღუდული არ არის;
- თითოეული ასატვირთი ფაილის მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 20Mb-ს;
- შესაძლებელია ატვირთოთ ნებისმიერი ტიპის ფაილი გარდა *.exe გაფართოების მქონე ფაილისა;




მითითებული ინფორმაციის შენახვის/გაუქმების მიზნით დააჭირეთ ფანჯრის ქვედა, მარჯვენა კუთხეში განთავსებულ ღილაკებიდან შესაბამისს.

## გაითვალისწინეთ:

- ვარსკვლავით (*) მონიშნული ველის შევსება სავალდებულოა;
- აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიმაგრება სავალდებულოა;

## ინფორმაციის რედაქტირება/წაშლა

იმ შემთხვევაში თუ გსურთ eSchool-ში, სკოლის პერსონალის ბარათში, მასწავლებლების მიერ 2011-2014 წლებში ძველი სქემის ფარგლებში განხორციელებული აქტივობის შესახებ განთავსებული ინფორმაციის რედაქტირება ან წაშლა, ისარგებლეთ კონკრეტული ჩანაწერის გასწვრივ განთავსებული შესაბამისი ღილაკებით.




გაითვალისწინეთ, ინფორმაციის რედაქტირება/წაშლა შესაძლებელი იქნება იგივე ვადებში, რა ვადებიც განისაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) მასწავლებელთა მიერ 2011-2014 წლებში ძველი სქემის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის განსათავსებლად.